ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №276984

ნომერი: AR167351

თარიღი : 19.07.2012

გაცემის თარიღი : 23.07.2012

გაცნობის თარიღი : 24.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე თაბუკაშვილი პ/ნ 01010009276
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 4 ბ. 26

ორგანიზაცია:

- HAUSART კოდი: 205039803

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 19 ივლისს №AR167351 განცხადებით მომართეს შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს წარმომადგენელმა დავით გოგიჩაიშვილმა და მოქალაქე ალექსანდრე თაბუკაშვილმა და მოითხოვეს 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტზე წარმოდგენილი გეგმების დართვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.007.435) შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური (სავაჭრო-გასართობი) კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 08 ივნისიდან 2012 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, პროექტის სიდიდის გამო საჯარო რეესტრში ვერ მოხერხდა სართულების გეგმებზე წარწერების გარჩევა, აღნიშნულიდან გამომდინარე მათ მიერ მოხდა სართულების ფრაგმენტებად დაყოფა, რაც საჭიროებს 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტზე წარმოდგენილი (ს. თაბუკაშვილისა და ვ. წიკლაურის მიერ შესრულებული) გეგმების დართვას.
სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ გეგმებში არ განხორციელებულა ცვლილებები, უბრალოდ მოხდა გეგმების ფრაგმენტებად დაყოფა და შესაძლებლად მიიჩნია მათი 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტზე დართვა.
ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დამატების შეტანა.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტს დაემატოს 2012 წლის 19 ივლისს №AR167351 განცხადებაზე თანდართული (ს. თაბუკაშვილისა და ვ. წიკლაურის მიერ შესრულებული) გეგმები;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 05 ივნისის №198572 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.